

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 30 ივნისის

დადგენილება №2444

ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და
დოქტორანტურის მოდიფიცირებული
საგანმანათლებლო პროგრამების
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის
შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე
დამტკიცდეს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის
მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამები.

1. ბაკალავრიატი: ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია; გარემოს ინჟინერია და
უსაფრთხოება; ფარმაცია; მეტალურგია; მასალათმცოდნეობა; ქიმია;
სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერია; მეტალურგია
(ინგლისურენოვანი).
2. მაგისტრატურა: ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია; ფარმაცია; ქიმია;
მეტალურგია; მასალათმცოდნეობა; საინჟინრო ეკოლოგია.
3. დოქტორანტურა: ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია; ქიმია; მეტალურგია;
მასალათმცოდნეობა.

დადგენილებას თან ერთვის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის
ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 9 ივნისის №1 სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ.
დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2017 წლის 30 ივნისის დადგენილება №2444-ის დანართი

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N1 -დან
09.06.2017

საბჭოს 180 წევრიდან ესწრებოდა 123

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების შესახებ
(მ. მაისურაძე);

მოისმინეს პროფ. მ. მაისურაძე: მომხსენებელმა აღნიშნა, ფაკულტეტის საგანმანათლებლო
პროგრამებში შევიდა ცვლილებები, კერძოდ:

— სამაგისტრო პროგრამას "ქიმია" -ს შეეცვალა ხელმძღვანელი (პირადი განცხადების
საფუძველზე): ნაცვლად პროფ. ე.ელიზბარაშვილისა პროგრამის ხელმძღვანელად წარდგენილია
პროფ. ზ.გელიაშვილი.

— სამაგისტრო პროგრამას "საინჟინრო ეკოლოგია" შეეცვალა ხელმძღვანელი (ემერიტუსის წოდების
მინიჭებასთან დაკავშირებით): ნაცვლად პროფ. ნ.ჩხუბიანაშვილისა ხელმძღვანელად
წარდგენილია პროფ. ლ.გვერდწითელი;

— საბაკალავრო პროგრამას "გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება" შეეცვალა ხელმძღვანელი
(ემერიტუსის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით): ნაცვლად პროფ. ნ.ჩხუბიანაშვილისა
ხელმძღვანელად წარდგენილია პროფ. დ.ერისთავი.

საბაკალავრო პროგრამა "გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება"-ში მოდულის: "საინჟინრო
ეკოლოგია და ეკოლოგიური ექსპერტიზა" -სასწავლო კურსი "ეკოლოგიური ეფექტურობისა და
ეკონომიკური ზარალის შეფასება" II სემესტრიდან გადავიდა I სემესტრში; იმავე მოდულში

სასწავლო კურსი "სამრეწველო ობიექტების მონიტორინგი" I სემესტრიდან გადავიდა II
სემესტრში;

მოდულში : გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება"

სასწავლო კურსი "ჰიდროსფეროსა და ნიადაგის დაცვის ფიზიკო-ქიმიური მეთოდები" I

სემესტრიდან გადავიდა II სემესტრში; იმავე მოდულში სასწავლო კურსი "ბუნებრივ სარგებლობის
ეკონომიკა და პროგნოზირება" II სემესტრიდან გადავიდა I სემესტრში;

ყველა საბაკალავრო პროგრამაში შეიცვალა სასწავლო კურსის "ზოგადი ქიმია" ფორმატი:

ლექციების რაოდენობა განისაზღვრა სემესტრში 4 საათით, ხოლო ლაბორატორიული
მეცადინეობა -26 საათით.

საბაკალავრო პროგრამა "ქიმიას" დაემატა სასწავლო კურსების სილაბუსების "თვისებითი
ანალიზი" "რაოდენობრივი ანალიზი", "ქიმიის ისტორია" მეორე ვარიანტები;

სამაგისტრო პროგრამა "ქიმიას" დაემატა სასწავლო კურსის სილაბუსის "ფორმალური და მოლეკულური კინეტიკა" მეორე ვარიანტი;

სასწავლო პროგრამებში "სტუ-ში სასწავლო კურსებისათვის კოდების მინიჭების წესი"-ს შესაბამისად შეიცვალა კოდირების სისტემა. მოდიფიცირება განიცადა შემდეგმა პროგრამებმა:

1. ბაკალავრიატი:

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია; გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება; ფარმაცია; მეტალურგია; მასალათმცოდნეობა; ქიმია; სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერია; მეტალურგია (ინგლისურენოვანი).

2. მაგისტრატურა:

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია; ქიმია; ფარმაცია; მეტალურგია; მასალათმცოდნეობა; საინჟინრო ეკოლოგია.

3. დოქტორანტურა:

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია; ქიმია; მეტალურგია; მასალათმცოდნეობა.

დაადგინეს: 1. მოხდეს ფაკულტეტზე არსებული პროგრამების მოდიფიცირება წარმოდგენილი სახით,

2. ეთხოვოს სტუ-ის აკადემიურ საბჭოს განიხილოს მოდიფიცირებული პროგრამების დამტკიცების საკითხი.


მომხრე: 123;

წინააღმდეგი: 0;

თავი შეიკავა: 0

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფ.
საბჭოს მდივანი, პროფ.

ამონაწერი სწორია, პროფ.



მ.შვილდაძე

ნ. გელოვანი

ნ. გელოვანი